ოქმი:**ო08.37220241**
თარიღი:**24/01/2022**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 იანვარი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, პ. კიღურაძე, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ა.ჩხაიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე, აღნიშნა, რომ მიწის ფასები არ იცვლება, კონკრეტულად პროექტი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ა.ჩხაიძემ. დაისვა შეკითხვები, რომელსაც უპასუხა თანამომხსენებელმა. დ. ჭაკნელიძემ წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს მხარი დაეჭირათ პროექტისათვის, რომელსაც კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე

განსახილველად და დასამტკიცებლად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი